ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

„ეწვიე ზემო რაჭას!“

ონის მუნიციპალიტეტი
საქართველო

- ივნისი 2020 -

მერის მიმართვა

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერება, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობისთვის საჭირო სათანადო გარანტიების შექმნა ჩვენი მიზანი და უმთავრესი ამოცანაა. ყოველივე ეს კი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარების გზით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებით გარდაუვლად მიღწევადია. მუნიციპალიტეტის უნიკალური ბუნებრივი პირობები, ნაყოფიერი ნიადაგი, მდიდარი ენერგეტიკული რესურსი, სათიბ-საძოვრებისა და მინერალურ წყლების სიუხვე, საგზაო ინფრასტრუქტურა, არსებული მუნიციპალური სერვისები, აგრეთვე, გამორჩეული ტურისტული და ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ტრადიციულად განვითარებული სოფლის მეურნეობის მიმართულებები და კიდევ სხვა მრავალი დადებითი ფაქტორის ერთობლიობა იძლევა მუნიციპალიტეტში საინვესტიციო პოტენციალის ზრდის განსაკუთრებულ პირობებს და ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ საფუძველს.

ჩვენთვის დიდი პატივია ევროკავშირის ინიციატივასთან ,,მერები - ეკონომიკური ზრდისთვის“ შეერთება. ამ პროექტში გაერთიანებით ჩვენ გამოვხატავთ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილსა და მზაობას, გავიზიაროთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება. ვიმედოვნებთ, აღნიშნული თანამშრომლობა ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების გარანტი და წარმატების მომტანი იქნება.

ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. ამ პროცესში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდა როგორც ტურისტული, ასევე საინვესტიციო თვალსაზრისით, ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიცირებული მეწარმეობის განვითარება, ინვესტორების მოზიდვა, ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება, მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის სამუშაო ადგილების გაჩენის წინაპირობას, რაც ონის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს მისცემს დამატებით შესაძლებლობებს ეკონომიკური აქტიურობის და შემოსავლების ზრდისათვის.

დავით ჩიკვაიძე
ონის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი: თამთა ტეფნაძე
თანამდებობა: ონის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
მისამართი: ქ. ონი, დ.აღმაშენებლის #40
ტელეფონი: +995 577 933 555
ელ-ფოსტა: onismeria@gmail.com
ვებ-გვერდი: www.oni.gov.ge

მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მომზადებულ ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას, რომელიც შემუშავებულია ადგილობრივი ეკონომიკური პარტნიორების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი იქნა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

წინამდებარე გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. გეგმა ფოკუსირებული და ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკის მიმართულებებზე, ვინაიდან დღეს მუნიციპალიტეტის უმთავრესი გამოწვევა სამუშაო ადგილების სიმცირე, დაბალი ანაზღაურება და შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინების მაღალი მაჩვენებელია.

ონის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებს. აქ არსებობს მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულებების გაშლის შესაძლებლობა. რეალური და უფრო მასშტაბური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა ისეთი სუსტი მხარეების დაძლევა, როგორიცაა: თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე; არასათანადო და არასაკმარისი სამეწარმეო უნარები; არასაკმარისად განვითარებული ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, სამუშაო ადგილების სიმცირე, ახალგაზრდების, როგორც სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი დონე, ონის მუნიციპალიტეტის სუსტი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების დროს პარტნიორების მიერ გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ფორმულირდა შემდეგნაირად, რომ ონი გახდეს რეგიონში აღიარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და განვითარებული ტურიზმის ადგილი, სადაც იქნება მიმზიდველი ბიზნეს გარემო ასევე დივერსიფიცირებული ეკონომიკური საქმიანობებისთვის. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი მთავარი მიზნები:

1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული შესაძლებლობების განვითარება/პოპულარიზაცია;
2. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება;
3. სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნეს-მხარდამჭერი სერვისების შექმნით.

გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობასა და სავარაუდო წყაროებს. ონის მუნიციპალიტეტი მზადაა, გეგმით გათვალისწინებული ქმედებების განსაზღვრული ნაწილის საკუთარი ბიუჯეტიდან დასაფინანსებლად. დაფინანსების სქემის მიხედვით, ქმედებებზე გაწეული დანახარჯების ჯამური ოდენობა შეადგენს 529 200 ლარს - 162 125 ევროს. ამასთან, ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით. აგრეთვე, ქმედებების ნაწილს დააფინანსებს კერძო ინიციატივები და დონორი ორგანიზაციები. იმ მიმართულებებზე, სადაც აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად, აუცილებელია, გააქტიურდეს მუშაობა დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

2. შინაარსი

მერის მიმართვა
1. შემაჯამებელი შინაარსი
2. სარჩევი
3. შემოკლებების სია
4. გეგმის შესავალი
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
   6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
   6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები
   6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია
   6.4. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
   6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა
   6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო
   6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
   6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
7. SWOT ანალიზი
8. ხედვა და მიზნები
9. სამოქმედო გეგმა
10. დაფინანსებების სქემა
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

3. დანართები და აბრევიატურები

დანართები:
დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი ბ. ინფორმაცია და მონაცემები ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზისთვის

აბრევიატურები:
დეს - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
M4EG - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“;
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება;
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
DMO - რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

4. გეგმის შესავალი

ონის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ინიციატივას M4EG შეუერთდა 2019 წლის ნოემბერში, რითაც, ერთის მხრივ, შეიქმნა წინაპირობა M4EG ინიციატივის ფარგლებში ხელი შეეწყოს ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების, კერძო და სამოქალაქო სექტორის პარტნიორობას; ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნული კლუბის წევრობა მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს მუნიციპალიტეტს, კერძოდ: გამოხატოს მზაობა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების თემებთან, ჩამოაყალიბოს მათთან პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდა-განვითარებას.

ონის მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის. ონის მუნიციპალიტეტი რეგიონის მუნიციპალიტეტებთან (ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტები) და იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტთან ერთად, ესაზღვრება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჯავის რაიონს და რუსეთის ფედერაციის,ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ერთეულებს.

ონი დედაქალაქიდან დაშორებულია 300 კმ-ით, უახლოესი აეროპორტიდან - (ამბროლაური) 30კმ-ით, ხოლო უახლოესი სარკინიგზო სადგურიდან - (ტყიბული) 64 კმ-ით. ონის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი სარგებლობს მაღალმთიანი დასახლების სტატუსით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობია 1359.4 კმ².

ონის მუნიციპალიტეტის 1 ქალაქსა და 64 სოფელში 5.8 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი (49 წელი) მაღალია ვიდრე რეგიონისა (48 წელი) და საქართველოში (38.1 წელი). მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების 47% ცხოვრობს ქალაქად. ქალაქ ონის მოსახლეობით შევსების ძირითადი წყარო იყო. დღეს, ონის მოსახლეობის საშუალო ასაკი მუნიციპალიტეტის სოფლებში (53.2 წელი) უფრო მაღალია ვიდრე ქალაქში (43.5 წელი). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიმჭიდროვე 4,3 კაცი 1კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს, რაც ადგილზე მოქმედი ბიზნესისთვის საგადასახადო შეღავათების, ხოლო მაცხოვრებლებისთვის დამატებითი სოციალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას ქმნის. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბოლო ათი წლის განმავლობაში 19%–ით შემცირდა და აგრძელებს კლებას, რაც მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოქალაქეების ქვეყნის დიდ ქალაქებში ან უცხოეთში მიგრაციით არის გამოწვეული. მუნიციპალიტეტში განვითარებული შრომატევადი, დაბალანაზღაურებადი ეკონომიკის სექტორები (სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა და დაბერება, მთლიანად რეგიონის მოსახლეობის საშუალო ასაკი და შემცირების ტენდენცია, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულ გამოწვევებზე პასუხების პოვნა მუნიციპალიტეტის ბიზნეს საზოგადოებასა და მოსახლეობასთან ერთად, დაედო მოტივაციად ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებას.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ურთიერთობის ისეთ პლატფორმად, როდესაც დაინტერესებული მხარეები ერთად მსჯელობენ ისეთი გეგმის შექმნაზე, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იქნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმების სტიმულირებასა და კერძო სექტორის განვითარებაზე.

დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების პრიორიტეტის დოკუმენტთან. „ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების 2020-2023" გეგმასთან და „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიასთან.
წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული პროექტების და აქტივობების ნაწილი დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ, კერძოდ - 269 200 ლარის ოდენობით და ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2020-2021 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში, ხოლო, დანარჩენი ნაწილის დაფინანსების სავარაუდო წყაროებია დონორი ორგანიზაციები და კერძო ინიციატივები.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ონის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა შედგა მერთან არსებული 10 კაციანი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ისე სხვადასხვა სპეციალობის, ეროვნებისა და ასაკის მოქალაქეები. საბჭოში შედიან ისინი ვისაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მუნიციპალიტეტის განვითარებაზე და ვისთვისაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარება. საბჭოს წევრების შემადგენლობაში 4 ქალი და 6 მამაკაცია. საჯარო მოხელეები, რაოდენობით ნაკლები არიან საბჭოს სხვა წევრებზე. საბჭოს მიერ შეიქმნა გეგმაზე მომუშავე 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს; სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ეკონომიკური განვითარების ოფიცერი.
სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზის დროს კონსულტაციებს გადიოდა მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესის სხვადასხვა სექტორების წარმოამდგენლებთან, ეროვნულ უმცირესობებთან, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და მუნიციპალიტეტიდან ემიგრირებულებთან. ამ ჯგუფებთან ერთად სამუშაო ჯგუფი მუშაობდა მუნიციპალიტეტის swot ანალიზზე, ხედვისა და მიზნების სხვადასხვა ვერსიებზე და სამოქმედო გეგმაზე. პარტნიორობის მიერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, მის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და შესაძლებლობების შესახებ. პარტნიორობამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვის, მიზნებისა და 2 წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ თავისი ინდიკატორებითა და შედეგებით. COVID-19 ვირუსის პანდემიამდე შეხვედრები და განხილვები მიმდინარეობდა პირისპირ. ემიგრანტებთან ონლიან ვიდეო კონფერენციების საშუალებით. საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების დროს პარტნიორობა და სამუშაო ჯგუფი იყენებდა ვიდეო და აუდიო კომუნიკაციის საშუალებებს. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი, პარტნიორობისა და სამუშაო ჯგუფის წევრების შესახებ ინფორმაციით (პროფესია, დასაქმების ადგილი, სქესი, შეხვედრების რაოდენობა და გრაფიკი), პარტნიორობის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და ა.შ. მოცემულია „ა" დანართში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: ონის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს განსაზღვრავს აგრარული სექტორი, ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროები.

შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროებია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ვაჭრობა-მომსახურება და ტურისტული სერვისები.

2018 წლის მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 43,1 მლნ. ლარია, აქედან მრეწველობის წილი არის 9,2 მლნ. ლარი (თითქმის 21,3%-ს). სოფლის მეურნეობის 7,8 მლნ. (18.0%), ვაჭრობის 20,2 მლნ (46,8%) და მომსახურებას 4,2 მლნ (13,9%). სასურველია მუნიციპალიტეტის მთლიან შიდა პროდუქტში სხვა დარგების ხვედრითი წილის გაზრდა, რადგან მრეწველობა ძირითადად დამოკიდებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგებზე, რომელიც შეზღუდული რესურსით არის წარმოდგენილი.

ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომლის დიდი ნაწილი თავმოყრილია მდინარეების. რიონის ჯეჯორის, ჩვეშურას და ხეორის ხეობებში. მოცემულ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახის წიაღისეული: მოლიბდენი, სურმა, სტიბიუმი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, ოქრო, სპილენძი, კვარცი (მთის ბროლი), დიაბაზი, კირქვა, მეწამულის ქვა, კირქვა და კარბონატული ფიქალი, თიხა და ქვიშა ფიქალები, მინალექი, ნარიყი წარმოშობის ქანები, ბარიტი, თაბაშირი, თუთია, სილიკო მარგანეცი, გრანიტი და რკინის საბადოები. ეს საბადოები ამ ეტაპისთვის აუთვისებელია. მუნიციპალიტეტში არსებული მინერალური წყლების 44 სახეობა იძლევა საშუალებას დიდი რაოდენობით ჩამოისხას სასმელი და მინერალური წყალი. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები ქმნის წინაპირობას და შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ისეთი დარგები, როგორიცაა ხე-ტყის გადამამუშავებელი და სამშენებლო მასალის წარმოება;

სოფლის მეურნეობის დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული. ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებს ხელმძღვანელობენ. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად ნატურალური მეურნეობის ნიშნებს ატარებს. მეტწილად იგი ორიენტირებულია არა საბაზრო მოთხოვნებისა და შესაბამისი პროდუქციის წარმოებაზე, არამედ, კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რელიეფის გამო, მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ფართობების ფრაგმენტაციით, რაც ძალზედ ართულებს მეურნეობების გამსხვილებას. დიდია აუთვისებელი და გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების მარაგი, რომელთა ჯეროვანი გამოყენებაც ხელს შეუწყობდა როგორც სოფლის განვითარებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

<u>მესაქონლეობა</u> მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს და ის ფერმერთა და გლეხური მეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროა. დამზადებული ხორცისა და რძის პროდუქტი არის ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და ჯანსაღი. ამ მიმართულებით ფუნქციონირებს 24 ფერმერეული მეურნეობა და 2 საწარმო. ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულია 45 ადამიანი, ხოლო საწარმოებში - 65 ადამიანი.

ქართულ-შვეიცარიულმა ფერმამ შ.პ.ს. „ბლაუენშტაინ საქართველო“, რომელიც მუნჯიციპალიტეტში 2008 წლიდან ფუნქციონირებს, 35 მილიონის ინვესტიცია განახორციელა ფერმერულ მეურნეობაში. საწარმოში ხორციელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება; კერძოდ, ახდენენ კავკასიურ წაბლასა და შვიცის ჯიშის ხელოვნურ განაყოფიერებას, რის შედეგადაც მიიღება მაღალი პროდუქტიულობის პირუტყვი. აღნიშნულ ფერმაში უკვე მიიღეს მესამე თაობა, ხოლო მეხუთე თაობა უკვე იქნება სუფთა შვიცი.

მუნიციპალიტეტში მესაქონლეობა პროგრესულად ზრდადი დარგია, რადგან მუნიციპალიტეტში სათიბ-საძოვრების დიდი პოტენციალია, რაც გვაძლევს წინაპირობას,

რომ შეიქმნას რძის, რძის პროდუქტების და ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები.

<u>მეფუტკრეობა</u> მუნიციპალიტეტში ფართოდ არის განვითარებული. ამ დარგს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია და ადგილობრივ ფერმერთა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. 2019 წლის მდგომარეობით, აღირიცხება 3400 ფუტკრის ოჯახი. ყოველწლიურად ხდება ფუტკრის ოჯახების მატება. კავშირგაბმულობის მაღალსიხშირული საანძო მეურნეობების სიმწირე ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორია ფუტკრის გამრავლების თვალსაზრისით. ტერიტორიის 70% დაფარულია ტყის საფარით; გარდა უნიკალური წიწვოვანი ჯიშებისა, მასივებში მრავლად გვხვდება თაფლოვანი მცენარეები: აკაცია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, წაბლი; ალპურ და სუბალპურ მასივებში კი თაფლოვანი ბალახოვანი მცენარეები: ძიძო, სამყურა, ესპარცეტი, იონჯა და სხვა. აქედან გამომდინარე, თაფლი გამორჩეულია გემოვანი და სამკურნალო თვისებებით, არის საკმაოდ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა. ფერმერები აწარმოებენ როგორც პოლიფლორულ (სხვადასხვა დასახელების მცენარეთა ყვავილებიდანაა შეგროვებული და ატარებს ზოგად სახელს: გაზაფხულის, ზაფხულის, მინდვრის ყვავილების, მთის თაფლი და სხვა), ასევე, მონოფლორულ (ძირითადად, ერთი დასახელების მცენარის ყვავილებიდანაა შეგროვებული და ატარებს მათსავე სახელს: აკაციის, წაბლის, ცაცხვის და სხვა) თაფლს. თაფლთან ერთად მეფუტკრეები მცირე რაოდენობით აწარმოებენ ფუტკრის სხვა პროდუქტებს: ფუტკრის რძე, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია, შესაძლებელია არსებული რაოდენობის რამოდენიმეჯერ გაზრდა.

<u>მებოსტნეობაში</u> ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კარტოფილის წარმოება. ცნობილია, რომ კარტოფილი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია, რომლის წარმოება ეკონომიკური შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ადგილობრივებისთვის და განსაკუთრებით, მაღალმთიანი სოფლების ფერმერებისათვის; მას გააჩნია განსაკუთრებული გემოვნური თვისებები, მდგრადია კოლორადოს ხოჭოს, ფიტოფტოროზის და სხვა მავნე დაავადებების მიმართ. მაღალმთიან ზონაში თითქმის ნულის ტოლია გვალვის საშიშროება და არ საჭიროებს მორწყვას.

კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა წლიურად 10 ტონას არ აღემატება. ამდენად, აუცილებელია წარმოების ინტენსიფიკაცია და მოსახლეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მექანიზაცია თითქმის ხელმიუწვდომელია, რეგიონში არ არის არცეთი კარტოფილის სარგავი და ამღები მექანიზმი, ნაკლებად გამოიყენება მცენარეთა დაცვის საშუალებები. არ ხდება მიწის აგროქიმიური ანალიზი. აუცილებელია ჯიშთა ცვლა-გაუმჯობესება.

ონის მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობები სხვა ბოსტნეული კულტურების წარმოების მეტად გაფართოების, განსაკუთრებით, პომიდვრისა და კიტრის მოსავლიანობის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა. ამისათვის საჭიროა ფერმერთა კოოპერაცია და კოოპერაციის ხელშეწყობა, ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, როგორიცაა წვეთოვანი სისტემები, საჩითილე მეურნეობის მოწყობა, პესტიციდების გამოყენების წესებზე ცნობიერების ასამაღლებლად შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და სხვა ღონისძიებების გატარება.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ასევე განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება და რეალური პერსპექტივა აქვს მეხილეობას, კერძოდ კი კენკროვნების კულტივაციას, რომელთა გაშენებაც ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის "დანერგე მომავალი" ხელშეწყობით. აქ წარმოებული ხილი არის ეკოლოგიურად სუფთა, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ბაზარზე. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ შემოსავალს იღებს საოჯახო მეურნეობების ფარგლებში გაშენებული კაკლის და ხილის ბაღებიდან. მუნიციპალიტეტი განთქმულია რაჭული ნიგოზით,

რომელიც გამორჩეულია ცხიმის მაღალი გამოსავლიანობით და გემოვნური თვისებებით, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის აგრარულ ბაზარზე, იგი შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროდ. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე შეინიშნება, ასევე, გამოწვევას წარმოადგენს სამაცივრე მეურბნეობების არარსებობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალური წყლები (დაახლოებით 44 სახეობის). კურორტ უწერაში 28 სახის მინერალური წყლის საერთო დღეღამური დებეტი 800 ტონაა. ისინი მდიდარია კალციუმითა და რკინით, შეიცავს ბორსა და იოდს, ასევე, სხვა მინერალებს. ძირითად რესურსს წარმოადგენს სამკურნალო მინერალური წყალი „უწერა“, რომელიც ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი წყალია და შეიცავს ბორის მჟავას. წყლის დებეტი დაახლოებით 600 ტონაა. შოვში გამოკვლეულია 16 სახის მინერალური წყარო, რომელთა დღეღამური დებეტი 150 ტონაა. ისინი ქიმიური შემადგენლობის პირველი ტიპისაა, შეიცავს კალციუმს, ნატრიუმს, რკინას, მაგნიუმს, ქლორს და სხვა მინერალებს. მინერალური წყლები არის აგრეთვე ქ. ონის და მის მიმდებარე ტერიტორიებზეც (ბალნეოლოგიური დანიშნულების სამკურნალო მინერალური წყალი „სორტუანი“).

ტურიზმი ონის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები აგროტურიზმის, ეკოტურიზმის, პილიგრიმული ტურიზმის, საქმიანი და ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის სხვადასხვა შესაძლებლობებს ქმნის. აღნიშნული სფეროს განვითარებისათვის ორიენტაცია უნდა იქნას აღებული როგორც სამთო-სათხილამურო, ისე, საზაფხულო კურორტების მშენებლობასა და არსებულის განახლებაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მაღალი კლასის ისე მცირე ზომის ოჯახური სასტუმროების ქსელის შექმნასა და გაზრდას, რათა დასვენების საშუალება საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

დღევანდელი მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში 61 საოჯახო სასტუმროა, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ 2019 წელს შეადგინა დაახლოებით 200 კაცი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ცნობილი კურორტი - შოვი და უწერაა, თუმცა მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ტურიზმი და საკურორტო მომსახურეობა სუსტადაა წარმოდგენილი. აღნიშნულის მიუხედავად ყოველწლიურად თვალსაჩინოდ იზრდება ვიზიტორთა რიცხვი. 2017 წლის მონაცემებით, ტურისტების რაოდენობამ 7,985 კაცი შეადგინა, 2018 წელს - 13. 895, ხოლო 2019 წელს - 18,900 კაცი; თუმცა მოცემული რიცხვები სრულად არ ასახავს რეალობას.

კურორტების - შოვისა და უწერის განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო ფინანსური ინვესტიცია, რათა კურორტმა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს, ასევე, სამთო-სათხილამურო კურორტებად გარდაქმნისათვის. ამ შემთხვევაში ორივე კურორტი შეძლებს მოემსახუროს დამსვენებელს წელიწადის ნებისმიერ დროს და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანოს. სოფ. გლოლა, ღები და გონა შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, ტურისტულად მიმზიდველი ადგილებია, დღევანდელი მდგომარეობით.

ონის მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანესი საგანძური - ულამაზესი და უნიკალური ბუნება ქმნის წინაპირობას ეკოტურიზმისა და მისი თანმდევი სახეეობების განვითარებისათვის: სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო ტურები. აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა-განვითარების კარგ საფუძველს იძლევა მღვიმეები, ჩანჩქერები, ულამაზესი ტბები და კლდოვანი მწვერვალები. მდინარე რიონისა და მდ. ჯეჯორაზე არის შესანიშნავი პირობები სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისათვის. სწორედ ამ უნიკალური ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის იქმნება დაცული ტერიტორიები. ყოველივე ეს კი ექსტრემალურ-სათავგადასავლო ტურების

მოყვარულებისთვის, ასევე მაღალბიუჯეტიანი ტურისტებისთვის მიმზიდველ გარემოს ქმნის.
ძალზედ მნიშვნელოვანია მარშრუტი ჭიორა-ნოწარას მთა, რომელიც ხასიათდება შთამბეჭდავი ბუნებითა და ხედებით. აღსანიშნავია ნოწარის მინერალური წყალი, რომელიც სამკურნალო თვისებებითა და გემოვნებით არ ჩამოუვარდება კავკასიის ამ ტიპის არცერთ წყალს. ონის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ტურისტული შესაძლებლობები გააჩნია შქმერში არსებულ კასტრულ მღვიმეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს. ულამაზესი დარბაზებისა და გვირაბების საერთო სიგრძე 2 კმ-ს აღემატება. ვინაიდან მღვიმე დღემდე არაა შესწავლილი, ამ მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციის ეფექტიანი გამოყენებისთვის და პოპულარიზაციისთვის საჭიროა მღვიმის შესწავლა სპელეოლოგების მიერ. ასევე მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილებია ზედქალაქი (ნასოფლარი-სოფ.გლოლა) და ბრილი (სოფელი ღები). ზედქალაქში მრავლადაა, როგორც ციხესიმაგრეთა, ასევე საცხოვრებელ ნაგებობათა ნანგრევები. კარგადაა შემონახული ე.წ. ბერის საყდარი, რომლის კედლებზე იყო შენახული XX საუკუნის დასაწყისამდე თამარის დროინდელი ფრესკული მხატვრობა, თვით თამარ მეფის ბრწყინვალე გამოსახულებით. ბრილი - ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია რაჭაში, რომელიც იყო ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანის უმძლავრესი მეტალურგიის ცენტრი. სოფელი მოიშალა 300 წლის წინ. ბრილის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ რიონის სათავეებში იმ დროს ბინადრობდნენ კოლხური კულტურის მატარებელი ქართველები, რომლებსაც ამარანტებად მოიხსენიებენ.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები: ონის მუნიციპალიტეტში საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის სისტემური ხასიათის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის რაიმე კონკრეტული სტრუქტურული მექანიზმი ან პლატფორმა ჩამოყალიბებული არ არის. თუმცა, არსებობს ბიზნესებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები (მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები), მათ შორის, სახელმწიფოს ხელშეწყობით, შექმნილი, მაგრამ ისინი ფრაგმენტულია და სპონტანურ ხასიათს ატარებს. არ არსებობს არც ერთი რეგისტრირებული ბიზნეს ასოციაცია, რომელიც დარგობრივად ერთი ან რამდენიმე მიმართულების ბიზნეს სუბიექტებს გააერთიანებდა და მათ თანამშრომლობას და საქმიანობას უფრო ეფექტურს და ეფექტიანს გახდიდა. მეწარმეებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება პირადი და ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმატშია წარმოდგენილი.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესთან დაკავშირებული დროის მენეჯმენტს. დეს-ის პროგრამის მეშვეობით ასევე გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის წვდომა ყველა სამთავრობო თუ სხვა საჯარო დაწესებულებასთან. მერიაში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ელ-ფოსტით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი განცხადება „ერთი ფანჯრის პრინციპის“ საფუძველზე რეგისტრირდება მერიის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და ამავე პრინციპის საფუძველზე მოქალაქე დროულად იღებს შესაბამის რეაგირებას. ასევე გამოყოფილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.
მუნიციპალიტეტში დაგეგმილი თუ განხორციელებული პროექტების/ღონისძიებების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება ხდება, როგორც მერიის ვებ-გვერდის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებებით. მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს უზრუნველყოს ადგილობრივი მეწარმეები და ბიზნესის დამწყებები სუბიექტები ინფორმაციით სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ქონების მართვისა და სტატისტიკის,

საერთაშორისო პროექტების, დონორებთან ურთიერთობისა და ტურიზმის და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურულიერთეულები. ეკონომიკური განვითარებით დაკავებული მოხელეები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, ადგილობრივი ბიზნესის მხარდამჭერ და გარე ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბიზნესი არ ხასიათდება მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის მაღალი ინტერესით. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები არის ელექტრონული და განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია თავისი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და მათი ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ-გვერდზე. 2017 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცხადდება NAT ტენდერები, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღ კონკურენციას, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციულ და თანასწორ მიდგომას. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ტენდერის შედეგების გასაჩივრების საბჭოც.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით. საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაესწრონ მუნიციპალიტეტისსაკრებულოს სხდომებს და მონაწილება მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხების განხილვაში ან ინიცირება გაუკეთონ მათთვის საინტერესო საკითხების განხილვას. 2016 წლიდან მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება ელექტრონული საქმის წარმოებით მუნიციპალიტეტების მართვის MMS სისტემით.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორს ფინანსური რესურსების მოძიება უჭირს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში, მიკროსაფინანსო და დონორ ორგანიზაციებში, ასევე სახელმწიფო პროგრამებში (დეტალური ინფორმაცია ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობებზე იხილეთ დანართი ბ). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა მუნიციპალიტეტში ახორციელებს სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელ პროექტებზე ინფორმაციების გავრცელებას. სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები ბიუროკრატიულია, გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების გამო კი კერძო სექტორი ხშირად არჩევს მათ გარეშე საქმიანობის განხორციელებას. ინფორმაციაზე არასათანადო ხელმისაწვდომობის და სათანადო უნარების უქონლობის გამო, ადგილობრივ მცირე მეწარმეებს შეზღუდული წვდომა აქვთ როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მერ დაფინანსებულ პროგრამებთან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი საბანკო ორგანიზაცია. ბიზნეს-სესხის პროცენტი მაღალია. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ სესხების გაცემის საკითხი განიხილება ბანკის რეგიონულ და სათაო ოფისებში, რაც დამატებითი ბარიერია ადგილობრივი ბიზნესისთვის. არ არსებობს დამწყები მეწარმეებისა და არსებული ბიზნესის ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებელი მუნიციპალური პროგრამები.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: ონის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 135 ათას ჰა-ს, აქედან, 46325,6 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უკავია, მათ შორის, 15590,3 ჰა - სათიბს, 27792,3 ჰა - საძოვარს, 312,9 ჰა - მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო 2153,6 ჰა - სახნავს, რომელიც საერთო ფართობის მხოლოდ 2 %-ს შეადგენს, ხოლო 68176,77 ჰა ტყის ფართობებით არის დაკავებული. დღეისათვის გვაქვს ტენდენცია, როდესაც ბიზნესის მხრიდან იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის

თუ შენობა - ნაგებობებით სარგებლობის მსურველთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება. ძირითადად შენობა-ნაგებობებით დაინტერესებულ პირებს ტურიზმის განსავითარებლად სურთ კონკრეტული ობიექტების შეძენა. რაც შეეხება მიწასა და ინფრასტრუქტურას, ამ შემთხვევაში სეზონური ბიზნესის განვითარების მიზნით ღია კაფეებისა და ბუნგალოების მოწყობისთვის გამოთქვამენ ინტერესს. საგულისხმოა, რომ არ არსებობს აგრობაზრის ფუნქციონირებისთვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების და მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სახელმწიფოს საკუთრებაში, რაც ართულებს მათ გამოყენებას. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში ქონება გადმოდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, თუმცა პროცესი მარტივი არ არის და ხშირად დროში იწელება.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებშიც გართულდა მუნიციპალური ქონების შეფასების პროცედურა, რაც აუცილებელია სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე (ქონების გატანა აუქციონზე, იჯარით გაცემა და სხვა). მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით გეგმავს უძრავი და მოძრავი აქტივების შეფასებას, თუმცა აღნიშნული პროცესის განხორციელება გადავადადა პანდემიით გამოწვეული ხელშემშლელი გარემოებების პირობებში.

კერძო სექტორის საჭიროებების შესახებ მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში მოცემულია დანართი ბ.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები: ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რეგულაციებიდან, რომელიც ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე გავლენას ახდენს, შეგვიძლია გამოვყოთ: ქონების გადასახადის, მოსაკრებლების შემოღება-გაუქმება, განაკვეთის ოდენობის განსაზღვრა და ადმინისტრირების საკითხები;

მიუხედავად იმისა, რომ ონის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში დანერგილია მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რომელიც აადვილებს მოქალაქეების და ბიზნესის წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში მაინც მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურის გავლისას უწევთ ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და პროცესი ხშირად დროში იწელება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით მომზადდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მრავალძლის, კურორტების - შოვისა და უწერის განაშენიანების რეგულირების გეგმები, რომელსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზემოაღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს აღნიშნული ტერიტორიების შენარჩუნებული ეკოსისტემების, კულტურული ლანდშაფტების, მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, არსებული ტყის რესურსების შენარჩუნებას და სხვა, რაც მნიშვნელოვანია მთლიანად რეგიონის ეკონომიკური სტიმულირებისათვის, ზოგადად, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შემცირებისთვის. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ადგილების სივრცითი განვითარების სისტემური გადაწყვეტა შესაძლებელს გახდის რეგიონის მიმართ ინვესტორთა დაინტერესების ზრდას, შედარებით მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების შემოდინებას, ადგილობრივი მცირე ბიზნესის განვითარებას.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი: ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 54,9%-ია ეკონომიკურად აქტიური ასაკის. მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური

მოსახლეობის მხოლოდ 46%-ია დაქირავებით დასაქმებული, ხოლო თვითდასაქმებულია - 36.4%. დაქირავებით დასაქმებულები ძირითადად საჯარო სტრუქტურებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისა და ვაჭრობა-მომსახურების სფეროებშია დაკავებული.

უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად დედაქალაქში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უხდება. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებენ ტრენინგების და მოკლევადიანი სასწავლო კურსების მიმწოდებელი ორგანიზაციებიც. ზოგიერთი დამსაქმებელი ორგანიზაცია თავად უზრუნველყოფს კადრების გადამზადებას შიდა რესურსებით თავისი საჭიროების შესაბამისად. კერძო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციების პროცესში გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია, სამომავლოდ ამ მიმართულებით შეიქმნას ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე მორგებული პროფესიული სასწავლებლის თუ სხვა სახის საგანმანათლებლო ცენტრი. მუნიციპალიტეტში არ არსებობს აგრეთვე დასაქმების სააგენტო.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივ გამოკითხულთა უმეტესობა ონს მიიჩნევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და ტურიზმის რაიონად. ამ მიმართულებებით ბოლო წლების განმავლობაში დიდი ოდენობის ინვესტიციები განხორციელდა კერძო სექტორის მხრიდან, როგორც საოჯახო სასტუმროების აშენების, ისე სხვადასხვა პროდუქციის წარმოების კუთხით.

განსაკუთრებით ტურიზმი მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად სფეროს და გარე პოზიციონირებისთვის კარგ შესაძლებლობას, როგორც ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ადგილი თავისი ლანდშაფტით და ადგილმდებარეობით, მასში არსებული ეროვნული მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებით, კულტურული და სტუმართმოყვარეობის ტრადიციებით და სარეკრეაციო-დასასვენებელი პარკების მოწყობისა და ბალნეოლოგიური საკურორტო ზონების რეალური რესურსით, ასევე, რამდენიმე შედარებით იშვითი ტურისტული მიმართულების განვითარების რეალური რესურსით და შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტში სეზონურად სხვადასხვა ტურისტული მიზნით ვიზიტორთა რაოდენობა საგრძნობლად მზარდია.

ონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გახდეს უფრო მიმზიდველი როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე მუნიციპალიტეტის ვიზიტორებისა და პოტენციური თუ არსებული ინვესტორებისთვის.

მარკეტინგული თვალსაზრისი ონის მგდომარეობის გასაუმჯობესებლად რიგი კომპლექსური ნაბიჯებია განსახორციელებელი. მიუხედავად იმისა, რომ ონის ცნობადობა ყოველთვის მაღალი იყო შოვის და უწერის არსებული საკურორტო ზონებით, სასარგებლო მინერალური წყლების სიუხვით, ლორის გამოყენების უნიკალური წესით და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მისი ბრენდირების საკითხი დღემდე დღის წესრიგში აქტიურად არ დამდგარა.

იმისათვის, რომ სამომავლოდ ონი უფრო მყარად და მკაფიოდ იყოს პოზიციონირებული ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარე ბაზრებზე და შენარჩუნდეს ის ნიშა რითიც ეს მუნიციპალიტეტია ცნობილი, ანდა კიდევ გაჩნდეს ახალი მიმართულებით ონის შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივა, საჭიროა, პირველ რიგში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუდმივად ხდებოდეს მუნიციპალიტეტის ახალი შესაძლებლობების ანალიზი. ასევე ონის პოპულარიზაციასა და მის მიმზიდველობაზე ზრუნვაც მუდმივი პროცესი უნდა იყოს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატება: ონის მაიდენტიფიცირებელი ლოგო, როგორც ხარისხის ნიშანი და მის ქვეშ გამოშვებული

პროდუქცია, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ზრდის კამპანიის კომპლექსური და პერმანენტული დაგეგმვა/განხორციელება, საიმიჯო ვიდეო რგოლებისა და ბროშურების წარდგენა სხვადასხვა გამოფენებსა თუ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებზე, ადგილობრივი წარმოების წახალისება ახალი ბაზრების მოპოვებაში ხელის შეწყობის გზით, მუდმივი ინფრასტრუქტურული განვითარება და სწორი სივრცითი დაგეგმარება - ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კონკრეტული ქმედებებისა, რომელიც შემდგომშიც შექმნის წინაპირობას ონის მუნიციპალიტეტისთვის, რათა ის სწორად იქნას პოზიციონირებული იმ ბაზრებზე, რომელიც მისი შემდგომი განვითარებისთვის წარმოადგენს ინტერესის სფეროს.

7. SWOT ანალიზი

S – ძლიერი მხარეები	W – სუსტი მხარეები
• ტყის ბიომრავალფეროვნება სხვადასხვა ეკოლოგიური ფუნქციით (ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი), მნიშვნელოვანი მერქნული და არამერქნული რესურსი; • მიწის რესურსის ხარისხი და ბიო პროდუქციის წარმოებისთვის იშვიათი მიკრო ზონები და ეკოლოგიურად სუფთა გარემო; • მრავალფეროვანი წიაღისეული რესურსი და აუთვისებელი საბადოები; • ცნობილი ბრენდული ხორცპროდუქტების წარმოება; • საოჯახო სასტუმროების მზარდი რაოდენობა; • საოჯახო მეურნეობების სიმრავლე და ხის ნაკეთობების ტრადიციული მეთოდები; • სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება (მრავალწლიანი ნარგავები, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და სხვა.); • სხვადასხვა მიმართულების ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები; • ყველა კატეგორიის ტურისტის მოთხოვნაზე მორგებული განთავსების ობიექტები (სასტუმროები, საოჯახო ტიპის სასტუმროები); • მდიდარი ენერგეტიკული რესურსები (მაგ. ჰიდრო რესურსის არსებობა). • მინერალური და სამკურნალო წყლების დიდი რესურსი. • სათიბ-საძოვრების დიდი რესურსი;	• კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის სუსტად გამოხატული თანამშრომლობა; • ძვირი საბანკო კრედიტები და ალტერნატიულ ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა; • მუნიციპალიტეტის მწირი საბიუჯეტო შემოსავლები და ქონებრივი რესურსები; • მუნიციპალური სერვისების და პროგრამების სიმცირე დამწყები მეწარმეებისათვის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად; • ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველმყოფი პროგრამების სიმწირე; • ვაჭრობის სეზონური ხასიათი და სუსტი საბაზისო ინფრასტრუქტურა; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე, მწირი ნიადაგი და პროდუქციის წარმოების დაბალპროდუქტიულობა; • თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე; • სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა; • ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე; • სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები; • ბიზნესის და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; • დამრეცი რელიეფი და ფართობების ფრაგმენტაცია; • სამუშაო ადგილების სიმცირე და შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია;

• მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და შესაბამისი შეღავათებით სარგებლობა; • საკურორტო ზონების მრავალფეროვანი რესურსი. • კურორტების შოვისა და უწერის ცნობადობის მაღალი დონე. • მობილური კავშირი და ინტერნეტის მიწოდება ფარავს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 90%. • გამართული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა ბიზნესის განვითარებისთვის	• პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე; • შრომითი რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქმედითი სისტემის არარსებობა; • მრეწველობის/წარმოების განვითარების არადამაკმაყოფილებელი დონე; • აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების დაბალი დონე; • ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დაბალი ინტენსივობა; • სტიქიური პროცესების პრევენციული გეგმის არარსებობა; • მუნიციპალიტეტის სუსტად გამოხატული ბრენდირება და პოზიციონირება; • ტურიზმის განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა: ტურისტული მარშრუტების მარკირების არარსებობა; ტურისტული შესაძლებლობების არასათანადო რეკლამირება; არაკვალიფიციური გიდები და უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე; ავტოსადგურის არარსებობა და მუნიციპალური ტრანსპორტის მოძველებული ავტოპარკი; ზოგიერთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მისასვლელი მოუწესრიგებელი გზა; მაღალი კლასის სასტუმროების ნაკლებობა.
O – შესაძლებლობები	**T – საფრთხეები**
• სოფლი მეურნეობის განვითარების და ხელშემწყობი სპეციალური სახელმწიფო პროგრამების დანერგვა; • ადგილწარმოშობის პროდუქციის პოპულარიზაცია; • ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA; • სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შორის აქტიური თანამშრომლობა; • მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ მეწარმეთა დროული და ეფექტიანი ინფორმირება; • მუნიციპალიტეტის ტურისტული და საინვესტიციო შესაძლებლობების კვლევა და არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისთვის აუცილებელი ნაბიჯების კომპლექსური შემუშავება; • მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება;	• სტიქიური მოვლენებისა და ბუნებრივი კატასტროფები (მაგ.კლიმატის ცვლილებების უარყოფითი ზეგავლენა, მათ შორის, მეწყერი, წყალდიდობა, ზვავი, ქვათაცვენა); • ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი; • პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია; • მიგრაციის მზარდი ტენდენცია, შედეგად კი შრომისუნარიანი მოსახლეობისა და კვალიფიცირებული სპეციალისტების გადინების ტემპის ზრდა; • შობადობის შემცირება; • ტყის მასივების შემცირება, ნიადაგის ეროზია; • სხვადასხვა ფაქტორების შედეგად გარემოს დაბინძურების მაჩვენებლის ზრდა და მისი ნეგატიური შედეგები; • ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართაობის შედეგად ტურისტული ზონების დაბინძურება; • ფლორისა და ფაუნის სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელება და სხვა უარყოფითი გარემო ფაქტორების ზემოქმედება; • სახერხი საამქროების ფუნქციონირება მდინარეების ნაპირებთან და ნახერხი

• სამეწარმეო გარემოს და შესაძლებლობების ზრდა სამეწარმეო უნარების განვითარების გზით; • ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა; • დარგობრივი ტურიზმის მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა; • კურორტი შოვის განვითარება ყველა სეზონზე შესაბამისი სერვისებით მიწოდების შესაძლებლობით; • მრავალფეროვანი ტყეების როგორც მერქნული, ასევე არამერქნული რესურსის უწყვეტი და გრძელვადიანი განვითარება; • მრეწველობის/წარმოების სექტორის წახალისება და განვითარება; • შრომითი რესურსების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა; • სოფლის მეურნეობის დარგების არსებული პოტენციალის ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა; • სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; • გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა; • ეკოლოგიურად სუფთა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება.	ნარჩენებით მდინარის დაბინძურების ალბათობა; • ღვარცოფული ხასიათის მდინარეებზე არასაკმარისი ნაპირდამცავი ნაგებობები, რის გამოც საფრთხე ექმნება მოსახლეობას და მუდმივად ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ონის მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციული და განვითარებული ეკონომიკური საქმიანობის ფორმები, მისთვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი მიმართულებები, ბიო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მიკრო-ზონების არსებული რესურსი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის საჭირო მიწის რესურსი და კლიმატური პირობები, ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, უკვე განვითარებული ტურისტული პროდუქტები და ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი ქმნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობას თუ წარმატებით იქნება დაძლეული ის გამოწვევები და სუსტი მხარეები, რაც დღეს მუნიციპალიტეტის წინაშე დგას; კერძოდ, მუნიციპალიტეტის და მისი როგორც ტურისტული, ასევე საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის არასათანადო დონე; სუსტად განვითარებული თანამშრომლობა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის; ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკური საქმიანობის ფორმები; ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა; სამეწარმეო უნარ-ჩვევების ნაკლებობა ადგილობრივ მეწარმეებში; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე და მათზე შეზღუდული წვდომა, წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონე; ტურისტული მომსახურების სტანდარტის და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების დაბალი დონე, ეკონომიკური, მათ შორის, ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მწვავე საჭიროება.

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, პარტნიორების ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით შემუშავდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური

განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ფართო საზოგადოების მიერ არის გაზიარებული.

8. ხედვა და მიზნები

<u>სტრატეგიული ხედვა</u>

ონის მუნიციპალიტეტი - რეგიონში აღიარებული ბიზნესის ხელშემწყობი გარემოთი და განვითარებული ტურისტული შესაძლებლობებით.

შედეგად მივიღებთ, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს, სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობებისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების დანერგვას, განვითარებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი ლოკაციების სიმრავლეს, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებით უზრუნველყოფილ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებას, ეკონომიკურად გაძლიერებული ქალების ჩართულობის მატებას ადგილობრივი ეკონომიკის განსავითარებლად, მცირე და საშუალო საწარმოთა სათანადო ფუნქციონირებას.

<u>სტატეგიული მიზნები</u>

1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება/პოპულარიზაცია;
2. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება;
3. სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნეს-მხარდამჭერი სერვისების შექმნით.

9. სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის ნაწილში გაწერილი აქტივობების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ონის მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ამ პროცესში უზრუნველყოფილი იქნება კერძო სექტორის ჩართულობა და მათი ეტაპობრივი და სრულყოფილი ინფორმირება.

თემატური ბლოკი	*ძირითადი მიზნები*	*ქმედება / პროექტის იდეები*	*ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საერაუდო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები*	*შედეგები/საბოლოოშედეგების ინდიკატორები*
1. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი;	1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება/ პოპულარიზაცია	1.1. რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ჩამოყალიბება	06/2020 10/2021	ონის, ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპლიტეტების მერიები	90 000 ლარი	ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების მართვის ორგანიზაციაში გაწევრიანებულია არანაკლებ 15 ბიზნეს სუბიექტი. შემუშავებულია არანაკლებ 4 ტურისტული პროდუქტი/სერვისი.	ტურისტული პროდუქტების/სერვისების შემუშავება, რაც სარგებელს მოუტანს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.
		1.2.საერთაშორისო, რეგიონულ და ინტერმუნიციპალურ ფესტივალებში მონაწილეობა	08/2021-05/2022	ონის მუნიციპალიტეტის მერია, DMO, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები	30 000 ლარი 10 000 ევრო	მონაწილეობა მიღებულია არანაკლებ 1 საერთაშორისო ფესტივალში. არანაკლებ 10 საოჯახო მეურნეობის და ადგილობრივი მეწარმის მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია	მუნიციპალიტეტის, მისი საინვესტიციო პოტენციალის,ასევე, ადგილობრივი პოდუქციის პოპულარიზაცია და ცნობადობის ზრდა.
		1.3. ონის საიმიჯო ვიდეო რგოლის და საინფორმაციო ბროშურების შექმნა	10/2021 - 05/2022	დონორი ორგანიზაცია, ონის მუნიციპალიტეტის მერია, DMO, კერძო სექტორი	20 000 ლარი 7 000 ევრო	ონის ტურისტულ და საინვესტიციო მიმზიდველობაზე მომზადებული არანაკლებ 1 საიმიჯო ვიდეო რგოლი; მისი გავრცელება სულ მცირე 3 მედია საშუალების მიერ.	მუნიციპალიტეტის ცნობადობის და პოპულარობის ზრდა. გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა მომდევნო ორი წლის განმავლობაში
		1.4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის	11/2020-05/2022	ონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო	24 000 ლარი 8 000 ევრო	დასაქმებულია არანაკლებ 2 თანამშრომელი; ჩამოყალიბებულია არანაკლებ 1 განყოფილება	ეკონომიკის სამსახურში გამოყოფილია 2 საშტატო ერთეული, ასევე შექმნილია შესაბამისი განყოფილება,

		სტრუქტრურის განახლებული ფორმირება				- საერთაშორისო პროექტების მართვის, დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.	რომელიც ორიენტირებულია დონორ ორგანიზაციებთან ეფექტიანი ურთიერთობაზე, ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე, პროექტების მართვაზე.
		1.5 მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების კონცეფციის შემუშავება და ტურიზმის განვითარების მიზნით სტარტეგიის ჩამოყალიბება	03/2021 – 05/2022	ონის მუნიციპალიტეტის მერია, დონორი ორგანიზაცია	60 000 ლარი 20 000 ევრო	კონცეფციის შემუშავება სულ მცირე 2 აქტიური ტურისტული ლოკაციის რესტავრაციაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ზემო რაჭის ტურისტულ ღირებულებას.	ტურიზმის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შექმნილია; 2 ტურისტული ატრაქციის კონცეფცია შემუშავებულია.
3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 4.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები	2. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება	2.1. საინვესტიციო წინადადებების მომზადება	01/2021 – 05/2022	ონის მუნიციპალიტეტის მერია	9600 ლარი 3 000 ევრო	არანაკლებ 5 საინვესტიციო წინადადება წარდგენილია პოტენციური ინვესტორებისათვის	საინვესტიციო პროექტის იმპლემენტეცია განხორციელებულია
		2.2.სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების - კურორტ შოვის, უწერის და მრავალძლის განაშენიანების რეგულირების გეგმების იმპლემენტაციის ხელშეწყობა	06/2020 – 05/2021	ონის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, კერძო სექტორი	88 000 ლარი 27 500 ევრო	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის - კურორტ შოვის, უწერის და მრავალძლის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება და აღსრულების ხელშეწყობა.	შენარჩუნებულია ეკოსისტემები, კულტ.ლანდშაფტები, მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; უზრუნველყოფილია საკურორტო ტერიტორიის ზონირება.
		2.3. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილის/კატალოგის შექმნა	01/2021 – 05/2022	ონის მუნიციპალიტეტის მერია და დონორი ორგანიზაცია	65 000 ლარი 20 312 ევრო	შექმნილი საინვესტიციო კატალოგი/პროფილი	ინვესტიციების მოცულობის ზრდა სულ მცირე 5%-ით; განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა.

5. ბიზნესის ადმი მეგობრუ ლი, გამჭვირვ ალე და კორუფც იისგან თავისუფ ალი ადმინის ტრაცია; 6. უნარები და ადამიან ური კაპიტალ ი;	3. სამეწარმეო შესაძლებლობები ს ზრდა მცირე და საშუალო საწარმოებისათვი ს ბიზნეს-მხარდამჭერი სერვისების შექმნით.	3.1. სამუშაო ადგილების მაძიებელთა ბაზის შექმნა	10/2020 – 07/2021	ონის მუნიციპალიტეტ ის მერია	19 200 ლარი 6 000 ევრო	შრომითი რესურსის იდენტიფიცირება არანაკლებ 5 დარგობრივი მიმართულებით .	საინვესტიციო წინადადების წარდგენა შესაბამის დარგში სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების მიზნით
		3.2. ახალგაზრდების, ქალების, დამწყები მეწარმეებისთვის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა	09/2020 03/2021	ონის მუნიციპალიტეტ ის მერია	9 000 ლარი 2 812 ევრო	არანაკლებ 15 ქალის, დამწყები მეწარმის და ახალგაზრდის რეწვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირების ორგანიზება	ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების გამოფენა-გაყიდვა ორგანიზებულია წელიწადში ერთხელ, მონაწილეობის ხელშესაწყობად 20 მეწარმის ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია.
		3.3. COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მატერიალური და ტექნიკური დახმარების გზით.	07/2020 04/2021	ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი და სლოვაკური არასამთავრობო ორგანიზაცია „სოსნა“, ონის მუნიციპალიტეტ ის მერია	119 200 ლარი 34 800 ევრო	მინიმუმ 20 მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა; მინიმუმ 40 სამუშაო ადგილის შენარჩუნება ან / და შექმნა.	სიღარიბის შემცირება და მიგრაციის მიზეზების მოგვარება სამუშაო ადგილების შექმნის გზით, ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და თემების ეკონომიკური გამძლეობის გაზრდის გზით.

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის განსაზღვრულ აქტივობებზე ჯამში დაგეგმილია 529 200 ლარის ბიუჯეტი. აქედან მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებასა და ტურისტული შესაძლებლობების განვითარება/პოპულარიზაციაზე განსაზღვრული ბიუჯეტი შეადგენს 219 000 ლარს, რაზეც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება 59 200 ლარი; ხოლო, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით განსაზღვრულ ღონისძიებებზე დაგეგმილია 162 000 ლარის ფინანსური რესურსი, რაც სრულად დაიფარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით; ამას გარდა, სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდის მიზნით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბიზნეს-მხარდამჭერი სერვისების შექმნაზე განსაზაღვრული აქტივობებისათვის საჭირო ფინანსები - 147 400 ლარი ნაწილი, კერძოდ, 47 400 ლარი დაიფარება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილი (100 000 ლარი) დონორი ორგანიზაციების

მხრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიულ მიზნებზე გათვალისწინებული 529 200 ლარიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაიფარება 213 800 ლარი.

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1 რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ჩამოყალიბება	90 000 ლარი 28 125 ევრო	30 000 ლარი 9 375 ევრო					
1.2. საერთაშორისო, რეგიონულ და ინტერმუნიციპალურ ფესტივალებში მონაწილეობა	30 000 ლარი 9 375 ევრო	10 000 ლარი 3 125 ევრო		5000 ლარი 1562 ევრო	15 000 ლარი 4687 ევრო		(DMO)
1.3. ონის საიმიჯო ვიდეო რგოლის და საინფორმაციო ბროშურების შექმნა	20 000 ლარი 7 000 ევრო			5000 ლარი 1562 ევრო	15 000 ლარი 4687 ევრო		(DMO)
1.4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სტრუქტურის განახლებული ფორმირება	19,200 ლარი 6 000 ევრო	19 200 ლარი 6 000 ევრო					
1.5. მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების კონცეფციის შემუშავება და ტურიზმის განვითარების მიზნით სტრატეგიის ჩამოყალიბება	60 000 ლარი 18 750 ევრო					60 000 ლარი 18 750 ევრო	
2.1. საინვესტიციო წინადადებების მომზადება	9 600 ლარი 3 000 ევრო	9 600 ლარი 3 000 ევრო					
2.2. ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების - კურორტ შოვის, უწერის და მრავალძლის განაშენიანების რეგულირების გეგმების იმპლემენტაციის ხელშეწყობა	88 000 ლარი 27 500 ერვო	88 000 ლარი 27 500 ერვო					
2.3. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილის/კატალოგის შექმნა	65 000 ლარი 20 312 ევრო	9 600 ლარი 3 000 ევრო				55, 400 ლარი 17,312 ერვო	
3.1. სამუშაო ადგილების მაძიებელთა ბაზის შექმნა და არსებული შრომითი რესურსის იდენტიფიცირება დარგობრივი მიმართულებებით	19 200 ლარი 6 000 ევრო	19 200 ლარი 6 000 ევრო					
3.2. ახალგაზრდების, ქალების, დამწყები მეწარმეებისთვის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა	9 000 ლარი 2 812 ევრო	9 000 ლარი 2 812 ევრო					
3.3. COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება მცირე და საშუალო საწარმოების მატერიალური და ტექნიკური დახმარების გზით.	119 200 ლარი 34 800 ევრო	19 200 ლარი 6 000 ევრო			100 000 ლარი 28 000 ევრო		

ჯამი	529 200 ლარი 162 125 ევრო	213 800 ლარი 66 812 ევრო		10 000 ლარი 3 124 ევრო	130 000 ლარი 37 374 ევრო	115 400 ლარი 36 062 ევრო	

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.1. რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ჩამოყალიბება	06/2020 10/2021	მუნიციპალიტეტის მერის განცხადების საფუძველზე საკრებულოს მიერ განხილულია და თანხმობა გაცემულია ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ერთობლივად დაფუძნების მიზანშეწონილობაზე.	მუნიციპალიტეტის მერის მიერ დადებულია ხელშეკრულება ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტებთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების თაობაზე.	საკრებულოს მიერ მიღებულია განკარგულება, ხოლო მერის მიერ გამოცემულია ბრძანება DMO-ს დაფუძნების შესახებ. საჯარო რეესტრში ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ დარეგისტრირებულია.	
1.2. საერთაშორისო, რეგიონულ და ინტერმუნიციპალურ ფესტივალებში მონაწილეობა	08/2021-05/2022			შემუშავებუია ფესტივალის კონცეფცია, დადგენილია ფესტივალის ჩატარების თარიღი, განსაზღვრულია მონაწილეთა ვინაობა და ჟიურის შემადგენლობა. დადგენილია ფესტივალის ჩატარების თარიღი, განსაზღვრულია ფესტივალში მონაწილეთა ვინაობა ასევე ჟიურის შემადგენლობა.	ფესტივალი და კონკურსი ჩატარებუილა.
1.3. ონის საიმიჯო ვიდეო რგოლის და საინფორმაციო ბროშურების შექმნა	10/2021 - 05/2022			შემუშავებულია ვიდეო რგოლის და ბროშურის კონტენტი, გამოყოფილია დაფინანსება. შექმნილია საიმიჯო ვიდეო რგოლი და დაბეჭდილია ბროშურები. ხდება კლიპის დემონსტრირება ინტერნეტის და	ვიდეო-რგოლი განთავსებულია ონლაინ სივრცეში და სხვადასხვა მედია საშუალებებით.

				სხვადასხვა მედია საშუალებებით. დაინტერესებული პირებისთვის გაზიარებულია ბროშურები	
1.4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სტრუქტურის განახლებული ფორმირება	11/2020-05/2022	საკითხი განსახილველად მომზადებული და გატანილია საკრებულოს სხდომაზე	შესაბამისი განყოფილებები შექმნილია, ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი გამოცხადებულია	სამსახური სრულადაა დაკომპლექტებული, საერთაშორისო პროექტების მართვის, დონორებთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილებას კვლევითი სამუშაოები დასრულებული და ანალიტიკური ხედვები წარმოდგენილი აქვს	დონორ ორგანიზაციასთან კომუნიკაციის შედეგად მიმდინარეობს ადგილობრივი ეკონომიკის ხელშემწყობი პროექტების შემუშავება.
1.5. მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების კონცეფციის შემუშავება და ტურიზმის განვითარების მიზნით სტრატეგიის ჩამოყალიბება	03/2021 – 05/2022		დონორი ორგანიზაციის მოძიების პროცესი დასრულებულია; სამუშაო ჯგუფის ფორმირება უზრუნველყოფილია.	დონორ ორგანიზაციასთან მოლაპარაკებები წარმოებულია კონცეფციის შემდგომი განვითარებისთვის; კონცეფცია შემუშავების პროცესი სამუშაო ჯგუფის მიერ დასრულებულია.	ტურისტული ატრაქციის შექმნის და განვითარების კონცეფცია შემუშავებულია; ტურიზმის განვითარების სტრატეგია შექმნილია.
2.1. საინვესტიციო წინადადებების მომზადება	01/2021 – 06/2022		ინვესტიციების მოზიდვის საჭიროებების შესწავლა და იდენტიფიცირება დარგობრივად.	საინვესტიციო წინადადებების სამუშაო ვერსიის პირველი ეტაპი დასრულებულია. საინვესტიციო წინადადებების მომზადების პროცესი დასრულებულია.	საინვესტიციო წინადადებება წარდგენილია პოტენციური ინვესტორებისათვის.

2.2. ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების - კურორტ შოვის, უწერის და მრავალძლის განაშენიანების რეგულირების გეგმების იმპლემენტაციის ხელშეწყობა	06/2020 – 05/2021	განაშენიანების რეგულირების გეგმა საჯარო განხილვებისთვის გამოქვეყნებულია შემდგომი განხილვისა და წინადადებების წარმოსადგენად, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.	მოქალაქეთა მხრიდან შენიშნები და მოსაზრებები წარმოდგენილია განცხადებების სახით; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განაშენიანების გეგმა დამტკიცებულია.	ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სამშენებლო ნებართვების გაცემა უზრუნველყოფილია განაშენიანების გეგმის შესაბამისად.	მუნიციპალიტეტის სწორი განაშენიანებით უზრუნველყოფილია საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა და ტურისტებითვის ტურისტულად აქტიური და საინტერესო ლოკაციების შეთავაზება.
2.3. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილის/კატალოგის შექმნა	01/2021 – 05/2022		დონორი ორგანიზაციის მოძიების მიზნით შესაბამისი მონაცემები მოძიებულია და კომუნიკაცია განხორციელებულია. დონორი ორგანიზაციის მოძიების პროცესი დასრულებულია, ფინანსები გამოყოფილია.	საინვესტიციო პროფილის/კატალოგის სამუშაო ვერსია არსებობს.	საინვესტიციო პროფილი/კატალოგი შედგენილია.
3.1. სამუშაო ადგილების მაძიებელთა ბაზის შექმნა და არსებული შრომითი რესურსის იდენტიფიცირება დარგობრივი მიმართულებებით	06/2020 – 07/2021	მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილია ინფორმაციის შეგროვების მექანიზმის შემუშავება და გამოქვეყნება ყველა დაინტერესებული პირის მიერ მონაცემების წარმოსადგენად	მერიის ხელშეწყობით გამოყოფილია ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის აღრიცხვასა და ანალიზს.	შექმნილია მონაცემთა ბაზა, რომლის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულია სამუშაო ადგილის მაძიებელთა დასაქმებისთვის საჭირო დარგობრივი მიმართულებები.	
3.2. ახალგაზრდების, ქალების, დამწყები მეწარმეებისთვის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა	09/2020 03/2021	დადგენილია ღონისძიენენი, სადაც ახალგაზრდების, ქალების, დამწყები მეწარმეებისთვის წარმოებული პროდუქტის გამოფენა-გაყიდვა გაიმართება.	შერჩეული არიან მონაწილეები, რომლებიც შესაბამის ღონისძებაზე გაიტანენ საკუთარ ნამუშევრებს.	არანაკლებ 20 ახალგაზრდის, ქალის, დამწყები მეწარმის გამოფენა-გაყიდვაში ჩართულობის ხელშესაწყობად ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ღონისძიებაზე გატანილ იქნა 20 მონაწილის მიერ	

				გამოფენა-გაყიდვის მიზნით წარმოებული პროდუქტი.	
3.3. COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება მცირე და საშუალო საწარმოების მატერიალური და ტექნიკური დახმარების გზით.	07/2020 04/2021	კონკურსის გამოცხადება ბიზნესის მხრიდან არსებული საჭირობების დასაბუთებისა და განაცხადების წარსადგენად. წარმოდგენილი განაცხადების შესაფასებლად შეფასების კომიტეტის შექმნა. კომიტეტის მხრიდან არანაკლებ 20 მცირე და საშუალო ბიზნესის შერჩევა	მოთხოვნილი ნივთების შესყიდვა CCRG პროექტის გუნდისაგან და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბენეფიციარებისთვის ოფიციალურად გადაცემა.		
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		15%	40%	30%	15%